

## საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია

### შესავალი:

წარმოდგენილ დოკუმენტში, ასახულია ხედვა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების, მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. განხილულია ტელევიზიის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობის საჭიროება და სამოქმედო გეგმის აუცილებლობა. ასევე აქცენტი გაკეთებულია მრჩეველთა საბჭოს და მენეჯმენტის ეფექტური თანამშრომლობის საკითხებზე. დიდი ადგილი ეთმობა პროგრამული პრიორიტეტების სისტემურ ანალიზს. პროგრამული პრიორიტეტები თემატურად შემდეგნაირად არის დაყოფილი: ახალი ამბები, შემეცნება და ინოვაცია, სპორტი, გართობა და საბავშვო გადაცემები. შინაარსობრივად კი განხილულია თუ რას უნდა მოიცავდეს ყოველი მათგანი.

და ბოლოს, დოკუმენტში მოცემულია მოსაზრებები და რეკომენდაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

### საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს როლის და მნიშვნელობის ზოგადი მიმოხილვა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო რეგიონში დემოკრატიული პროცესებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამავდროულად, შესაძლებელია მისი ამ როლის გაზრდა არა მხოლოდ რეგიონის არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს უპირატესობაა - მისი სტატუსი და ის რომ იგი საზოგადოებრივი საკუთრებაა, იყენებს საჯარო დაფინანსებას და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე. მნიშვნელოვანია, რომ ეს ანგარიშვალდებულება არ იყოს ფორმალური და არსებობდეს აქტიური დიალოგი საზოგადოების ყველა დაინტერესებულ ჯგუფსა და ტელევიზიის ხელმძღვანელობას შორის. ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია გარანტირებული იყოს მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობა და დაცვა პოლიტიკური, კომერციული თუ სხვა სახის გავლენებისგან. სწორედ მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს და მენეჯმენტის ერთობლივი მუშაობით და ძალისხმევით უნდა მოხერხდეს არხის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ უნდა მოახერხოს მაქსიმალურად წარმოაჩინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები და მათი ინტერესები. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით შექმნას ღირებული და ხარისხიანი მედია პროდუქცია მაუწყებლობის სამივე პლატფორმისთვის (ტელე/რადიო/ონლაინ მედია). მისი მიზანი უნდა გახდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. სატელევიზიო პროდუქტი, რომელიც ეთერში გადის აუცილებელია პასუხობდეს თანამედროვე სტანდარტებს და ზოგიერთ მათგანზე შესაძლებელია გამოყენებული იქნას არა მხოლოდ შიდა, არამედ გარე რესურსი, როგორც სატელევიზიო ისე რადიო გადაცემებისთვის. გარე რესურსის გამოყენების შემთხვევაში შერჩევა უნდა მოხდეს ყველა რისკის გათვალისწინებით, საჯაროდ და გამჭვირვალედ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მუდმივად უნდა უთმობდეს ეთერს სხვადასხვა მიმართულებით პარტნიორი ქვეყნებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებს, განსაკუთრებით პროექტებს რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიული იდეების პოპულარიზაციას. ბავშვთა უფლებები, გენდერი და გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ტოლერანტობა, აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, ძალადობა ოჯახში, ძალადობა სკოლაში და სხვა აქტუალური თემები მუდმივად უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოკუსში, როგორც სოციალური რეკლამების და ვიდეორგოლების მეშვეობით, ისე ამ საკითხების ირგვლივ მომზადებული სიუჟეტების თუ საავტორო გადაცემების მეშვეობით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს სხვა კომერციული არხებისგან განსხვავებით აქვს კიდევ ერთი, ყველაზე დიდი უპირატესობა, იგი თავისუფალია კომერციული ინტერესებისგან, რაც მას საშუალებას აძლევს:

- იყოს სრულად თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური თუ ბიზნეს ინტერესებისგან.
- თვითმიზანი იყოს არა მაღალი რეიტინგი, არამედ მაღალი ჟურნალისტური სტანდარტი. ამავდროულად, რეიტინგი - ეს არის მეტი მაცურებელი, რაც თავისთავად ყველა ტელევიზიის ამოცანაა. სწორედ ამიტომ საჭიროა ოქროს შუალედის პოვნა და უზრუნველყოფა იმისა, რომ მაღალპროფესიულმა გუნდმა მოსახლეობას მიაწოდოს მაღალხარისხიანი მედია პროდუქტი.
- მაქსიმალურად იყოს დაცული ეთიკის ნორმები და მოწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და მიუკერძოებელი.
- მეტი დრო დაეთმოს სხვადასხვა შინაარსის და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის საინტერესო გადაცემებს. მათ შორის, კულტურულ,

საგანმანათლებლო თუ სპორტულ გადაცემებს, რომელიც უპასუხებს თანამედროვე, მათ შორის, ტექნოლოგიურ გამოწვევებს.

- გაძლიერდეს საინფორმაციო გამოშვება, ახალი ამბები და ანალიტიკა, ამასთან სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი გადაცემების პარალელურად სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს ევროკავშირთან ინტეგრაციის თაობაზე გადაცემების მომზადებას.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო სხვადასხვა გადაცემებით ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში არსებული მავნე სტერეოტიპების ნგრევას და აშუქებდეს უმცირესობების საჭიროებებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო საჯარო დაფინანსებით მოქმედებს და შესაბამისად მაღალი პასუხისმგებლობა აქვს საზოგადოების წინაშე. მან უნდა მოახერხოს არსებული დაფინანსების ფარგლებში მიიღოს მეტი ეფექტი და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ საზოგადოების მოლოდინები ბოლომდე გაამართლოს.

ამავდროულად, მენეჯმენტმა უნდა გააძლიეროს ძალისხმევა სხვა და სხვა პროექტების დასაფინანსებლად დამატებითი არასაბიუჯეტო დაფინანსების მოპოვების კუთხით.

### **მრჩეველთა საბჭოს და მენეჯმენტის თანამშრომლობის საკითხები:**

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოში ბოლო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მრჩეველთა საბჭოს და მენეჯმენტის ეფექტური თანამშრომლობა და დიალოგი. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, როგორც საბჭომ, ისე მენეჯმენტმა მკაფიოდ უნდა გაიაზროს თავისი როლი და პასუხისმგებლობები. ორივე მხარემ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისათვის რომ იყოს მიღწეული დასახული მიზნები, კერძოდ საზოგადოების მოთხოვნები. მენეჯმენტის და საბჭოს ურთიერთობა არ უნდა იყოს დესტრუქციული და არ უნდა ჰგავდეს მხოლოდ პიროვნებების პირადი პოზიციების დაფიქსირებას, არამედ საბჭომაც და მენეჯმენტმაც უნდა გაითავისონ, რომ ისინი წარმოადგენენ საზოგადოების ინტერესებს. ამავდროულად, აუცილებელია ერთმანეთისგან ნათლად იყოს გამიჯნული მრჩეველთა საბჭოს წევრთა და მენეჯმენტის ფუნქციები. მრჩეველთა საბჭო პასუხისმგებელია მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასა და მისი განხორციელების კონტროლზე, ხოლო მენეჯმენტი აღნიშნული პრიორიტეტების შესრულებაზე. ამასთან, მრჩეველთა საბჭოც და მენეჯმენტიც უნდა ახორციელებდნენ თავის საქმიანობას იმ მიზნების მისაღწევად რაც არის

საზოგადოების დაკვეთა და საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონისმიერი ვალდებულებების შესრულება.

### გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ბოლო წლების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ ტელევიზიას და რადიოს არ გააჩნდა მკაცრად ფორმალიზებული და დეტალურად გაწერილი განვითარების სტრატეგიული ხედვა. ასეთი ხედვის არ არსებობის შემთხვევაში მინიმალურია ყოველწლიურად მომზადებული სამოქმედო დოკუმენტების ეფექტიანობა, რომლებიც სწორედ ამ გრძელვადიან სტრატეგიაზე დაყრდნობით უნდა მზადდებოდეს. შესაბამისად დგება აუცილებლობა იმისა, რომ შემუშავდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმა. ეს უნდა იყოს ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც მიიღება საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფებთან აქტიური, ფართო მსჯელობის შედეგად. ამავდროულად, დინამიურად ცვლადი გარემოს გათვალისწინებით, შესაძლებელია პერიოდულად შედიოდეს ცვლილებები საზოგადოების ინტერესების ცვლილების შესაბამისად. მნიშვნელოვანია აღნიშნული დოკუმენტის მემკვიდრეობითობის საკითხის გადაწყვეტა. ამიტომ მიზანშეწონილია სტრატეგიის ყოველწლიური განხილვის და გადამტკიცების საკითხი გადაწყდეს საკანონმდებლო დონეზე. ამ დოკუმენტის არსებობა აჭარის ტელევიზიის მენეჯმენტს და მრჩეველთა საბჭოს დაეხმარება მათი საქმიანობა გაზომვადი იყოს, ნათელი იყოს თუ რა იყო მიზანი და რამდენად შესრულდა.

ამგვარად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო საჭიროებს მკვეთრად განსაზღვრულ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელშიც, ნათლად იქნება ხაზგასმული ის საკითხები, რაც უზრუნველყოფს მრჩეველთა საბჭოს, ტელევიზიის მენეჯმენტის და ტელევიზიაში დასაქმებულთა მაქსიმალურ ეფექტურობას.

### პროგრამული პრიორიტეტები:

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო მოიცავს როგორც ტელევიზიას და რადიოს, ასევე ინტერნეტს. ტექნიკური თვალსაზრისით ამ რესურსის გამოყენებით მაუწყებელს სრულფასოვნად შეუძლია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფს მათთვის სასურველი ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, პროგრამული პრიორიტეტები სრულად უნდა მოიცავდეს იმ თემატიკას, რომელიც დაეფუძნება საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების დროულ და კვალიფიციურ ანალიზს და აღნიშნულ თემატიკაში იქნება გათვალისწინებული თითოეული ჯგუფის ინტერესი.

#	<u>პროგრამული პრიორიტეტი</u>	<u>ხედვა</u>
1	<u>ახალი ამბები:</u>	<p>ახალი ამბები სრულად უნდა ფარავდეს: რეგიონში მიმდინარე პროცესებს, ობიექტურად უნდა შექდებოდეს რეგიონისთვის საჭირობოროტო თემები; პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები;</p> <p>საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები;</p> <p>უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა წარმატებები და გამოწვევები;</p> <p>ეთნიკური უმცირესობების თემები; ოკუპირებული რეგიონების თემები და სხვა.</p> <p>მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური პროცესების მიმართ მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე ახალი ამბების გუნდის საქმიანობას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, მათ შორის განსაკუთრებულად საარჩევნო წლებში. აქ საყურადღებოა მიუკერძოებლობა, სუბიექტების დაბალანსებულად და თანაბრად წარმოჩენა, სიუჟეტების მომზადება მოქალაქეთა საარჩევნო განათლების ამაღლებაზე, სადამკვირვებლო პროცესებზე და სხვა.</p>
2	<u>ანალიტიკური გადაცემები:</u>	<p>ამ ფორმატში უნდა მოხდეს საზოგადოების წინაშე არსებული ყველაზე აქტუალური თემების განხილვა, როგორც პოლიტიკურ ისე სოციალური და ეკონომიკური საკითხების ირგვლივ სიღრმისეული, ანალიტიკური დისკუსია. მათ შორის, აქცენტი უნდა გაკეთდეს კულტურულად, ეთნიკურად, რასობრივად და სხვა ნიშნით უმცირესობებზე.</p>
3	<u>ტოკ-შოუ:</u>	<p>ტოკ-შოუების შემთხვევაში, თემების განხილვაში უნდა მოხდეს დაინტერესებული და საინტერესო რესპოდენტთა ფართოდ ჩართვა. მათი</p>

		საქმიანობისა და სამოქალაქო აქტივობის გათვალისწინებით.
4	<u>ჟურნალისტური გამოძიება:</u>	ჟურნალისტური გამოძიება ამყარებს მაუწყებლის მიმართ ინტერესს, ზრდის სანდოობას. ხაზს უსვამს მედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლების ფუნქციის რეალურ და არა ფორმალურ ყოფნას. ამდენად, მნიშვნელოვანია მაუწყებელს ჰქონდეს ხარისხიანი, სიახლეების მომცველი საგამოძიებო პროდუქტი, რომელიც შესაძლოა შესაბამისი პროცედურების დაცვით გარე სტუდიებისგან იქნას შესყიდული.
5	<u>შემეცნება:</u>	<p>მნიშვნელოვანია, მაუწყებლის მიერ მომზადებული გადაცემა იყოს არა მხოლოდ ინფორმაციული არამედ შემეცნებითიც.</p> <p>შემეცნებითი უნდა იყოს გადაცემა რომელიც პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად მომზადდება როგორც განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე, ისტორიაზე, კულტურაზე, ეკოლოგიაზე, ეკონომიკა, ბიზნესზე, სოფლის მეურნეობაზე, ტექნოლოგიურ განვითარებაზე და სხვ. მაუწყებლისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების შემეცნებითი ინტერესების დაკმაყოფილება. შემეცნებითი თემები შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ლოკალურ ისე ფართო კონტექსტში.</p>
6	<u>ინოვაცია:</u>	<p>ტექნოლოგიურ ერაში, საკითხის ინოვაციურობის გათვალისწინებით მეტი დრო უნდა დაეთმოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი შინაარსის საინტერესო მედია პროდუქტების მომზადებას, რომელიც შეეხება ტექნოლოგიების მნიშვნელობას საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში.</p> <p>XXI საუკუნეში ტექნოლოგიური განვითარების</p>

		<p>მაღალი დონე წარმოადგენს ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების ერთერთი მთავარ წინაპირობას.</p>
<p><b>7</b></p>	<p><u><b>სპორტი და გართობა:</b></u></p>	<p>საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა მოახერხოს მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენების (მსოფლიო ან შიდა ჩემპიონატები და ა.შ) პირდაპირი ტრანსლირება. გარდა ამისა, იმ ტიპის სპორტული გადაცემები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. სპორტულმა გადაცემამ უნდა მოახერხოს ახალგაზრდების სპორტის სხვადასხვა სახეობებით დაინტერესება.</p> <p>ასევე, მნიშვნელოვანია სანახაობრივი ღონისძიებების გაშუქება (კონცერტები, ფესტივალები, კონკურსები, ოლიმპიადები), ამგვარი ღონისძიებების გაშუქება, გაზრდის ტელემყურებელთა რიცხვს.</p>
<p><b>8</b></p>	<p><u><b>კულტურა:</b></u></p>	<p>მაუწყებელმა თავისი საქმიანობით ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებში ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ამ სფეროში მომუშავე ჟურნალისტები უნდა დაინტერესდნენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების კულტურული ინტერესების შესწავლით, მათზე სიუჟეტების მომზადებით და მათი კულტურის გაშუქებით. ქართული და მსოფლიო კინო, მუსიკა, თეატრი, მწერლობა, არქიტექტურა და კულტურის სხვა სფეროები საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის პრიორიტეტად უნდა იქცეს.</p> <p>საინტერესო იქნებოდა მაუწყებლის ბადეში ისეთი გადაცემის არსებობა, რომლის ფორმატშიც მოხდებოდა, როგორც პროფესიონალების ისე თეატრითა და კინოთი დაინტერესებული სტუდენტების ანალიზი, მსჯელობა და მათ მიერ როგორც ძველი, ისევე, ახალი ფილმების წარდგენა მაყურებლისთვის.</p>

	<p><b>9. <u>საბავშვო გადაცემები:</u></b></p>	<p>საზოგადოებრივი მაუწყებელი უპირობოდ უნდა მოიცავდეს საბავშვო თემატიკას. საბავშვო გადაცემები იმდენად პროფესიულად უნდა იყოს მომზადებული, რომ მოახერხოს არა მხოლოდ ბავშვების, არამედ მოზარდებისა და მათი მშობლების ყურადღების მიპყრობაც. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, მიუხედავად პროგრამული პრიორიტეტებისა დღემდე ვერ ახერხებს ამ მიმართულების სრულყოფილად დაფარვას.</p>

**საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები:**

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის წინაშე დგას, როგორც ინფრასტრუქტურული (შენობა), ისე საორგანიზაციო განვითარების საკითხები: თანამშრომელთა სათანადო სამუშაო პირობები, თანამშრომელთა ვალდებულებებისა და უფლება-მოვალეობების მკაფიო განსაზღვრა(დეტალური სამუშაო აღწერილობების შექმნა) თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა და სახელფასო ბადის განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს სამართლიან სახელფასო სისტემას. ამ და სხვა საკითხებზე მუშაობა მოითხოვს როგორც პოლიტიკურ ნებას, ისე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მენეჯმენტის და მრჩეველთა საბჭოს დიდ ძალისხმევას.

**მოსაზრებები, ხედვა და რეკომენდაციები:**

1. მნიშვნელოვანია, მრჩეველთა საბჭოს წევრთა და მენეჯმენტის კოორდინირებული მუშაობა მათი უფლება მოვალეობების ფარგლებში, ისე, რომ არ დაირღვეს არც ერთი მათგანის კანონით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.
2. მნიშვნელოვანია, გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც დაეხმარება მაუწყებელს სწორი მიმართულებით განვითარებაში. სწორედ ამ ტიპის დაგეგმარებას უნდა ეფუძნებოდეს როგორც ბიუჯეტი, ისე პროგრამული პრიორიტეტები.

3. მნიშვნელოვანია **მაუწყებლების განვითარების საერთაშორისო პრაქტიკის** მუდმივი ანალიზი და საუკეთესო პრაქტიკების დანერგვა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში. მაუწყებელმა უნდა შეძლოს სხვა საერთაშორისო მედია ორგანიზაციებთან და მედია გაერთიანებებთან ნაყოფიერი თანამშრომლობა/პარტნიორობა. უნდა მოიპოვოს მათი მხარდაჭერა და გადადგას ნაბიჯები ასეთი ტიპის ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად.

4. უნდა შეიქმნას **ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი პოლიტიკა**, მოხერხდეს მაუწყებელში დასაქმებულთა ინტერესების კვლევის საფუძველზე მათი შესაძლებლობების, უნარ-ჩვევების, გამოცდილების და განათლების გათვალისწინებით მათი პროფესიული გადამზადება და პროფილის შეცვლა, რაც მენეჯმენტს საშუალებას მისცემს ეფექტურად გამოიყენოს არსებული კადრების პოტენციალი.

5. მენეჯმენტის მხრიდან უნდა განხორციელდეს აქტივობები რომელიც, ხელს შეუწყობს **დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდას**. ყოველი მათგანისთვის მუშაობა საზოგადოებრივ მაუწყებელში უნდა იყოს პრესტიჟული და საამაყო.

6. როგორც მრჩეველთა საბჭო, ისე ტელევიზიის მენეჯმენტი მყისიერ რეაგირებას უნდა ახდენდეს, საზოგადოებრივი აზრის კვლევებზე, **სახელმწიფო აუდიტის ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშებზე/დასკვნებზე**. უნდა მოხდეს პრობლემებზე დროული რეაგირება.

7. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისთვის დგას **საზოგადოებრივი აზრის კვლევის აუცილებლობის საკითხი**. კვლევის შედეგების დროული, კვალიფიციური ანალიზი, მოგვცემს საშუალებას საზოგადოების ინტერესები მაქსიმალურად იქნას ასახული პროგრამულ პრიორიტეტებში.

8. მრჩეველთა საბჭოს თითოეული წევრი მუდმივად უნდა ცდილობდეს და მოითხოვდეს მაუწყებლის მენეჯმენტისგან **მაქსიმალურ გამჭვირვალობას** და ანგარიშვალდებულების გაზრდას საკუთარი აუდიტორიის მიმართ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის წინაშე წლების განმავლობაში დგას რიგი გამოწვევებისა, რომელიც ცხადია მოგვარებადია, თუმცა ვერ ხერხდება საკითხების სათანადოდ გადაწყვეტა. მრჩეველთა საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, ბოლომდე გამოვიყენებ ჩემს ცოდნას/გამოცდილებას და ჩავერთვები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს სამუშაო პროცესში ამ და სხვა გამოწვევების დასაძლევად მაქსიმალური შედეგის მისაღებად.

დიანა ვაშაყმაძე